ქ. თბილისი, მთავარანგელოზის ქ. №30-ისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ თავისებურებათა ანალიზი

თბილისი 2019წ

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ უბანში ავლაბარში, მთავარანგელოზის ქ. №30-ში. სანამ უშუალოდ საკვლევი ობიექტის მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების შეასებზე გადავალთ, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია მოკლე ისტორიული ექსკურსი მიმდებარე განაშენიანების ჩამყოლიბებისა და განვითარების შესახებ.

ისტორიული ექსკურსი

ამჟამად ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად იგი ისნის (მეტეხის) ციხე-სიმაგრეს მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ავლაბარი" XIV საუკუნიდან გავრცელდა (პირველი წერილობითი საბუთი სადაც მას მოიხსენიებენ 1392 წლით თარიღდება). სიტყვა „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბარე" ზღუდეს, გალავანს ნიშნავს. მაშასადამე „ავლაბარი" გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს გულისხმობდა.



თბილისი, XX საუკუნის I ნახევარი

ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. განვითარებული იყო ხელოსნობა. აქ ქართველებთან ერთად სომხები, სპარსელები, ბერძნები ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი თითქმის დაცარიელდა, რადგან ლეკები თბილისს

უმეტესად ამ მხრიდან ესხმოდნენ, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795წ.) ავლაბარი თითქმის მთლიანად განადგურდა.

1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა გვიანფეოდალური პერიოდის დაგეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს განადგურდა. შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩათა ქსელისგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი გვიანფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, შუასაუკუნეების პერიოდის ეკლესიები, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი (XVII-XVIII ს.) სარდაფები და სხვ. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და მორფოლოგია. ქალაქის ამ ნაწილის ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს ბარათაშვილის აღმართზე გადმოკიდებული განაშენიანება ქმნის.

უშუალოდ ჩვენი საკვლევი უბნის განვითარებას თვალი შეგვიძლია ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზეც გავადევნოთ - №60-ით აღნიშნულია ბებუთას ბაღი, შემდგომდროინდელი ხოჯავანქის მონასტრისა და სასაფლაოს ტერიტორია. მახათას მთის ფერდობთან, რომელიც თბილისს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საზღვრავს, ვახუშტის 1735 დატანილია შუატბის გზა. ხოლო მახათას მთის ძირში მითითებულია "მელიქის საყდარი" (№59) და "ბებუთას ბაღი" (№60). ბებუთას ბაღს ჩაუდიოდა შარაგზა, რომელიც რუკაზე აღნიშნულია "ლილოს გზის" სახელწოდებით. ეს ბაღი მახათას მთის ძირში ქართლის მეფე როსტომის მიერ ნაწყალობევ მიწაზე გაუშენებია ხოჯა ბეჰბუდას – თბილსის ზარაბს - XVII საუკუნის შუაწლებში. მასვე აუშენებია საყდარი ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე. საყდარმაც და სასაფლაომაც ბოლო დრომდე იარსება ხოჯევანქის სახელწოდებით. 1930-იან წლებში ამ უბნის რეკონსტრუქციის დროს ხოჯავანქის ეკლესია დაანგრიეს, ხოლო მიმდებარე სომხური სასაფლაოს ნაცვლად პარკი გაშენდა.



ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წელს შედგენილი გეგმა. დეტალი

განსაკუთრებით მკვეთრი ცვლილება უბანმა 1990-იან წლებიდან განიცადა, როდესაც ხოჯავანქის ტერიტორიაზე დაიწყო გრანდიოზული პროექტი – წმ. სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობა. თვით ტაძარი დასრულდა 2004 წელს (არქიტექტორი ა. მინდიაშვილი). ბოლო წლების კიდევ ერთი მსხვილმასშტაბიანი პროექტია პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია. რეზიდენცია აიგო საგზაო ინსპექციის ყოფილი შენობის ადგილას. XIX საუკუნეში ამ ტერიტორიაზე იდგა ე. წ. პოკროვსკის ყაზარმები (Покровские казармы). ამ შენობებმა რასაკვირველია რადიკალურად შეცვალა უბნის მასშტაბი და სივრცით-არქიტექტურული გარემო – მცირემასშტაბიან მიკრო უბანში გაჩნდა მსხვილი, შეიძლება ითქვას, ირგვლივ არსებულ განაშენიანებასთან შეუსაბამო მასშტაბის დომინანტები.



ხედი სამების ტაძარზე. 2015 წელი

თბილისის ძველი გეგმებიდან /იხ. ილუსტრ. ტექსტის ბოლოს/ ჩანს, რომ ავლაბრის დაგეგმარების სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში - XX საუკუნის დასაწყისში დასრულებულია, და რომ მასში სრულად არის ასახული ისტორიული განვითარების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებები, რომელთაც თითქმის უცვლელად მოაღწიეს ჩვენამდე. იმდროინდელია განაშენიანების დიდი ნაწილიც.

უბნის ურბანული ქსოვილის განვითარებას ყველაზე თვალნათლივ საარქივო რუკები ასახავს (იხ. ავლაბრის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული გეგმები). მათზე ნათლად იკითხება ქუჩათა სტრუქტურა, მათი განვითარება და კონფიგურაცია.

ამ მხრივ ყველაზე ადრეული, 1884 წლის თბილისის რუკაა. მასზე ისტორიულ ავლაბრის მოედნიდან რამოდენიმე ქუჩა იშლება. მათ შორის ყველაზე ერთ-ერთი მკაფიო ჩვენთვის საინტერესო ქუჩაა.

ანალოგიური სიტუაცია იკითხება XX ს-ის I ნახევრის საარქივო რუკებზეც. ქუჩათა კონფიგურაცია იგივე რჩება, 1924 წლის რუკაზე, ცხადია არსებულ ურბანულ ქსოვილში ამჟამინდელი მთავარანგელოზის ქუჩა უკვე არის.

ქუჩას ერთგვარი მაგისტრალური მნიშვნელობა აქვს, რომელიც ავლაბრის მოედანს, უბნის ზედა მონაკვეთთან აკავშირებს. ძირითადი ქუჩა ჰორიზონტალური მცირე ქუჩა თუ ჩიხებით ის მიმდებარე განაშენიანების საერთო ქსელში იწერება. სწორედ ეს ძირითად და მეორეხარისხოვან მცირე ქუჩათა თანამშრომლობა ქმნის უბნის ურბანულ ქსოვილს.

ავლაბრის მოედნისა და მიმდებარე
ტერიტორიის ისტორიული გეგმები



ქ. თბილისის 1884 წ. რუკა. ფრაგმენტი



ქ. თბილისის 1902 წ. ფრაგმენტი



ქ. თბილისის 1913 წ. ფრაგმენტი

ქ. თბილისის 1924 წ. ფრაგმენტი



მიკროკვარტალის და საპროექტო ტერიტორიის
მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებანი



უბნისა და კონკრეტული ქუჩის საერთო ხასიათს რელიეფის არათანაბარი მდებრაობა განსაზღვრავს. ერთის მხრივ მას ექვემდებარება როგორც განაშენიანება, ასევე მისი სოციალური ხასიათი. ქვედა, მოედნის მიმდებარე ტერიტორია, ავლაბრის ცენტრად – პრესტიჟულ სამოსახლოდ ითვლებოდა. ამას მოწმობს ნაგებობათა მაღალი მხატვრული ღირებულება და მათი მშენებლობის ხარისხი. აღმართის მატებასთან ერთად შედარებით დაბალი სოციალური ფენის სამოსახლოები ჩნდება. ამას მოწმობს ქუჩის ზედა მონაკვეთის მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებულ ნაგებობათა დაბალი მაჩვენებელი.

ქუჩის განაშენიანება, ორ-სამ სართულიანი, რელიეფს დაქვემდებარებული შენობებით განისაზღვრება. მიუხედავად მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ნაკლებობისა, უბანსა და კონკრეტულ მონაკვეთს მეტნაკლებად აქვს შენარჩუნებული ისტორიული სახე, რაც უმთავრესად ურბანული ქსოვილის ავთენტურობასა და რელიეფზე განთავსებულ ნაგებობათა მოცულობა/მასშტაბში გამოიხატება.

ქუჩაზე თავმოყრილი არქიტექტურული მემკვიდრეობა, XX საუკუნის დასაწყისის საცხოვრებელი შენობებით განისაზღვრება. ძირითადათ ე.წ. რუსული აგურით ნაგები შენობები, მარტივფასადიანი, სადა კომპოზიციებით ხასაითდება. შენობების ფასადები მცირე პლასტიკის დეტალებით, მეტად ლითონის აივნებითა თუ ჭიშკრებით იმკობა. შენობათა პროპორცია და მასშტაბი ერთმანეთის ანგარიშგაწევით რელიეფს

დაქვემდებარებული და მორგებულია. ქუჩის ფასადის სივრცულ-არქიტექტურულ სახეს დიდწილად განაპირობებს შენობათა ეზოები, რომლებიც ზოგი ფასადის უკან, ზოგიც კი წინა მხარეს ეკვრის შენობას. ამ ერთი თითქოს უმნიშვნელო ელემენტით, ქუჩა «სუნთქავს », რაც ერთგვარ სიხალვათეს ანიჭებს განაშენიანებასაც.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, უბნის ისტორიული სურათი XX საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება, თუმცა ცხადია გვხდება XX საუკუნის II ნახევრის მეტად მასშტაბური შენობებიც.

ჩვენი საპროექტო ტერიტორია, სწორედ ამ როგორც ურბანულად, ასევე მხატვრულ-არქიეტქტურულად ჩამოყალიბებულ გარემოში, ქუჩის ზედა მონაკვეთში მდებარეობს. ტერიტორია ამჟამად სამშენებლო მოედნად არის ქცეული, რომელიც მცენარეული საფარი იფარება. ვიზუალური დათვალიერებით, რაიმე სახის მნიშვნელოვანი ელემენტი მასზე არ იკითხება ამავდროულად ცხადია, რომ ტერიტორიაზე შენობა არსებობდა, რომელიც დაინგრა, შესაძლებელია ძველი ნაგებობის ნაშთი მიწის ქვეშ იმალებოდეს.

საპროექტო ნაკვეთის მომიჯნავედ ქუჩათა კვეთაზე განტავსებული საკმაოდ მასშტაბური ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას. ნაგებობა ორი ქუჩაზე საკმაოდ დიდ პერიმეტრზე იშლება და ე.წ. რუსული აგურით არის

ნაგები. ფასადთა მონოტონურობით, გეგმარებითი სპეციფიკით, მას განაშენიანებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

ნაკვეთის მეორე მხარეს ნახევრად დანგრეული შენობა დგას, რომელიც უსახური, არაღირებული ნაგებობებით გრძლდება[1].





[1] ქუჩის ზედა მონაკვეთში, ერთი ფრიად საინტერესო აგურის შენობაა განთავსებული, შენობა ძლიერ არის სახეცვლილი. ვფიქრობ, ნაგებობის ისტორიისა თუ სტრუქტურის შესწავლა ცალკე საგანს წარმოადგენს.



წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია, მთავარანგელოზის ქ. №30-ში ახალი შენობის განთავსება, რაც დასაშვებად მიგვაჩნია. როგორც კვლევამაც აჩვენა, მთავარანგელოზის ქუჩა, დღემდე სავსებით ინარჩუნებს, იმ ურბანულ თუ მხატვრულ გამომსახველობას, რაც XX საუკუნის დასაწყისის თბილისისთვის არის ნიშანდობლივი. მიუხედავად კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნაკლები კონცენტრაციისა, ქუჩაზე განთავსებული რამდენიმე ნაგებობა ნამდვილად დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს, გარდა ამისა მნიშვნელობანის ის ურბანული კონტექსტი რაც აღნიშნულ განაშენიანებას გააჩნია. პროექტირებისას, ვფიქრობთ გასააზრებელია ყველა ის მახასიათებელი რაც კონკრეტულ მონაკვეთისთვის არის ნიშანდობლივი. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები :

- ✓ ვფიქრობთ საპროექტო ტერიტორიაზე, სამშენებლო სამუშაოების წარმართვისას, აუცილებელია არქეოლოგის მეთვალყურეობა;

- ✓ პროექტირებისას უმთავრესად გააზრებულ უნდა იქნას კონკრეტული მონაკვეთის ურბანული ქსოვილი, რელიეფის არათანაბარი მდებარეობა;
- ✓ გათვალისწინებულ იქნას მიმდებარე განაშენიანებისათვის დამახასიათებელი საერთო მასშტაბი და პროპორცია;
- ✓ ახალი ნაგებობის სტრუქტურაში ვფიქრობთ სასურველია სივრცითი კომპონენტის ეზოს არსებობა. ამავდროულად ვფიქრობთ შესანარჩუნებელია ქუჩის მხარეს არსებული ნარგავი ;
- ✓ მნიშვნელოვანია საპროექტო ობიექტზე მიმართული ხედვის წერტილები. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა ქუჩის საერთო განაშენიანების ხაზში იქნება ჩართული, ქუჩის ზედა და ქვედა ნიშნულიდან ის სხვადასხვანაირად აღიქმევა. ამავდროულად გასააზრებელია ხედვის არეალი არამხოლოდ კონკრეტულ ქუჩის ფასადზე, არამედ ზოგადად უბნის განაშენიანების კონტექსტში;
- ✓ ვფიქრობთ ყველაზე საპასუხისმგებლო, საპროექტო მონაკვეთში მოცულობის ჩასმაა. შესაბამისად ახალმა ნაგებობამ, როგორც სართულიანობით, ასევე მასშტაბითა და პროპორციით, დიდი დისონანსი არ უნდა შეიტანოს არსებულ განაშენიანებაში ;
- ✓ რაც შეეხება შენობის საფასადო გადაწყვეტას, ვფიქრობთ ის უნდა გადაწყდეს სადათ, ყოველგვარი მძლავრი არქიტექტურული ფორმებისა და მახვილების გარეშე. ნაგებობა უნდა გახდეს უკვე ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების ფონი და არა დისონანსის შემტანი მასში. დაუშვებელია ბუტაფორიული, ძველს მიმსგავსებული, კიჩური პროექტის არსებობა;
- ✓ და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო ობიექტს სტრატეგიული და ერთგვარად საპასუხისმგებლო როლი აკისრია : ის უმტკივნეულოდ უნდა ჩაეწეროს არსებულ განაშენიანებაში და უკვე არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული სურათის ჰარმონიული ნაწილი შექმნას. ამავდროულად გახდეს კარგი პრეცენდენტი მონაკვეთის სამომავლო განვითარებისათვის.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია